



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა ღამს

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნიერ 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მაიღებს: თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „ქველის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „**Иваლი**“.

შინაარსი: ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა ფ. მახარაძისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალი“-ს კორესპონდენტები.—ამის ამბები.—ხელოვნება და მისი მიზანი ი. გომართელისა.—მსოფლიო გამოფენა პარიჟში ლ. დ.—„ზრომის“ ხელოსანთა ამხანაგობის მდგომარეობა მიხეილ ჩოდრიშვილისა.—ქვის მტეხელი (თარგმანი) ვანო გიუნაშვილისა.—წერილი რედაქციის მიმართ და განცხადებები.

მ. ხ. ქნო რედაქტორო! ნება მოგვეცით თქვენი პატივცემული გაზეთის შემწევობით გამოგუცხადლოთ ჩვენი გულითადი მადლობა იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც ჩვენი ძვირფასი ილიკოს გადაცვალების გამო პირადათ, ტელეგრაფით, თუ წერილით თანაგრძნობა გამოგვიცხადეს.
დედა, მამა, დები და ძმები ილია ლუკას-ძის ბახტაძისა (ხონელისა).

ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა
(1896—1900)

IV



მეც ის, რაც ზემოთ ვთქვეით. აშკარათ გვეუბნება, რომ მთელი ოთხი წლის განმავლობაში ოზურგეთის ქალაქის გამგეობა სრულებით არ ღებულობდა მხედველობაში ქალაქის მცხოვრებთა კირ-ვაზამს და თავის მოქმედებას სრულებით არ უფარდებდა ქალაქის შეძლების და ქონების ნამდვილ მდგომარეობას,

მაგრამ ამის შესახებ ჩვენ კიდევ გვსურს დავასახელოთ რამდენიმე ფაქტი.

ერთ თავის სხდომაზე (1898 წ. 9 თებერვალს) ოზურგეთის ქალაქის საბჭომ, თფილისის ქალაქის საბჭოს მოწოდების პასუხათ, ერთხმათ გადაწყვიტა: მომავალ თფილისის პოლიტეხნიკუმს გახსნისთანავე ერთხნობით შესწიროს თავისი საშუალებიდან ათასი მანეთი და შემდეგში დაენიშნოს მას ქ. ოზურგეთის მხრით მუდმივი შემწევობა წლიურათო. თუ გავიხსენებთ, რომ ისეთ მდიდარ და ხნოვან ქალაქის საბჭოებმა, როგორც არის ქუთაისის და უმეტესათ ბათუმის, რომლის შესავალ-გასავალი თითქმის მილიონამდე აღწევს და იმავე დროს ოზურგეთის ქალაქის შემოსავალი 1898 წელს რაღაც 5800 მანეთამდე რის ვაი-ვაგლახით ავიდა, ოზურგეთის ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება ჩვენთვის ყოვლად გაუგებარათ და ამასთანავე გასაოცრათ დარჩება. ვინიციობაა ოზურგეთის ქალაქის საბჭოს თავის გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანა, იმ შემთხვევაში უარი უნდა ეთქვა მთელი თავის შემოსავლის მეხუთედ ნაწილზე, ე. ი. უარი უნდა ეთქვა

იმ ადგილობრივ სავალდებულო საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე, რომელთაც ეს ფული უნდა მოხმარებოდა. მაშასადამე, ქალაქის იმ წლის ისეთაც საკმარის დეფიციტს 1000 მანეთი კიდევ უნდა მომატებოდა, ე. ი. ქალაქს დაუკმაყოფილებელი უნდა დარჩენოდა ისეთი ხარჯები, როგორც არის ქალაქის განათება, ქუჩების და ხიდების შეკეთება და სხ., რადგანაც სხვა წყარო ამ არაჩვეულებრივი ხარჯის დასაფარავათ მას სრულებით აღარ მოეზღებოდა. ამ ნაირათ ერთ შევნიერ დღეს, ჩვენი ოზურგეთი დარჩებოდა გაუნათებელი, მინგრეულ-მონგრეულ ქუჩებით და უხიდებოთ. მაგრამ ამაზე მაშინ ვინ ფიქრობდა? ოზურგეთს, ე. ი. მის წარმომადგენელს, უნდოდა თავი გამოეჩინა რითიმე და კიდევაც გამოეჩინა. ყველა, ოზურგეთლების და განსაკუთრებით ბ-ნ თავდგირიძის, გულუხვობაზე და სწავლა-განათლებისადმი მომეტებულ სიყვარულზე ლაპარაკობდა. ოზურგეთელებიც ამპარტავნულათ და თავმოწონებით გაიძახოდნენ: აი ჩვენ ოზურგეთელები როგორი ვართო! როგორ შეგვტკივა გული სწავლა-განათლებისთვისო! ამ საერთო სიხარულში გაზეთებიც ჩაერივნ „ცნობის ფურცლის“ მეთაურობით, და ოზურგეთელების, განსაკუთრებით მისი წარმომადგენელის, ბ-ნ თავდგირიძის, ქებას საზღვარი აღარ ჰქონდა. იმას ვინ კითხულობდა: შეეძლო თუ არა ოზურგეთს თავისი უხვი შეწირულების განხორციელება? ან კი, კაცმა თქვას, ეს ვის რათ ეკითხებოდა, თუ კი ქალაქის მამების, მისი წარმომადგენლების, გადაწყვეტილება ასეთი იყო, მით უმეტეს, როცა ქალაქის შემოსავალ-გასავლის საქმე გარეშემ არავინ იცოდა?

საზოგადოებაში და გაზეთებში ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო ამის შესახებ ყაყანი, როცა მეორე მხრიდან აღმოჩნდა ერთი პირი, რომელმაც სულ სხვა თვლით შეხედა ოზურგეთის ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებას, რადგანაც იგი კარგათ უწყობდა, რომ ხსენებული გადაწყვეტილება მხოლოდ ქალაქში დარჩებოდა, ე. ი. სისრულეში მოყვანა მას არ ელირსებოდა. ეს პირი იყო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა ქალაქ ოზურგეთის შესავალ-გასავლის მდგომარეობა და რომელსაც თვით ბ-ნი თავდგირიძე ყოველ თავის ქალაქებში და მოხსენებებში მუდამ ოზურგეთის გაჭირვებულ მდგომარეობას შეჩიოდა ნივთიერ საშუალებათა უქონლობის გამო. ამიტომ გუბერნატორმა ამოიკითხა თუ არა გაზეთებიდან, რომ ოზურგეთის ქალაქის საბჭომ 1000 მანეთი შესწირა მომავალ თფილისის პოლიტექნიკუმსო, მაშინვე (ე. ი. 18 თებერვალს 1898 წ., № 84-ით) ქალაქის საბჭოს მოთხოვა,

წარუდგინონ მას ხსენებული გადაწყვეტილებისასლი „იმის დასახელებით, თუ რომელ წყაროდან ფიქრობს ქ. ოზურგეთი აღნიშნული ხარჯის დაფარვას და საზოგადოთ აქვს თუ არა ქალაქს საშუალება, სავალდებულო საჭიროებათა დაკმაყოფილების გარდა, ასეთი ხარჯებიც გასწიოსო“. ამის პასუხათ ბ-მა თავდგირიძემ გუბერნატორს წარუდგინა შემდეგი საუცხოვო მოსაზრება, რომელიც ჩვენ აქ მოგვყავს სიტყვა სიტყვით, უცვლელათ:

„Собрание уполномоченных рѣшило, при крайней скудости бюджета гор. Озургеть, на пользу общепользнаго для цѣлаго края дѣла изъ ежегодныхъ сбереженій посредствомъ хозяйственныхъ распоряжей... (пожертвовать) всего тысячу рублей (მხოლოდ ათასი მანეთიო! რა ცოტა გამოუმეტებია!); не смотря на крайнюю скудость матеріальныхъ средствъ города, сбереженіе экономическимъ порядкомъ въ продолженіе 5 или 6 лѣтъ 1000 рублей не составитъ для него особеннаго неудобства. Если даже въ пользу этого дѣла городъ нашъ откажется на несколько лѣтъ отъ устройства нѣкоторыхъ мостовъ и мостиковъ, хотябы (მაგრამ ეს „ХОТЯБЫ“ აფუქებს სულ საქმეს!) весьма нужныхъ, и такимъ образомъ ежегодно будетъ откладывать на выплату одной тысячи рублей по 200 рублей въ годъ, то легко можетъ безъ особеннаго затрудненія и ущерба для местныхъ интересовъ (ლოღკაც ამას ჰქვია!) вытолкнуть обшанное“... (11 მარტის საგანგებო სხდომა).

ამნაირათ, ბ-ნი თავდგირიძე არწმუნებს გუბერნატორს, რომ თუმცა ოზურგეთი ნივთიერათ მეტათ შევიწროებულია, მაგრამ 1000 მანეთის გადახდა მისთვის მაინც და მაინც დიდი გასაჭირი არ იქნება, იმ შემთხვევაშიც კი, რომ ამისთვის მან ხუთ-ექვსი წლის განმავლობაში უარი თქვას ხიდების გაკეთებაზე, თუმც ესენი ძლიერ საჭირონიც არიანო. ამ საშუალებით მას, ე. ი. ოზურგეთს, სულ ადვილათ შეეძლება ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების უვნებელათ თავისი დაპირება შეასრულოსო. ამნაირი მოსაზრება რომ არსად გამოსაჩინი არ იყო და რომ იმას საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულო არავითარ პატივდებაში არ მიიღებდა და ოზურგეთის ქალაქის ხსენებულ გადაწყვეტილებას დაარღვევდა, ეს ვგონებთ, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. გაუგებარი და გასაშტერებელი აქ მხოლოდ ის არის, რომ ოზურგეთს გამოუჩნდნ ისეთი მეთაურები, და მათ შორის უპირველესი ბ-ნი თავდგირიძე, რომელმაც ასეთი ყოვლად უხერხული და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული მოსაზრება შეადგინეს, ხელი მოაწერეს და შემდეგ იგი მთავრობას წარუდგინეს სახელმძღვანელოთ. რომ ამ მოსაზრების სრული უხერხულობა და ყოვლად უა-



ზრობა შეიგნოს მკითხველმა, ამისთვის საჭიროა, რომ მან რამდენიმეთ მაინც წარმოიდგინოს ოზურგეთის მდგომარეობა. ოზურგეთი ისეთ ადგილს არის გაშენებული, რომ თითქმის ყველა მის ქუჩას პატარა მდინარე ანუ ღელე ჩაუვლის ხოლმე. ამ ღელეებმა წვიმების დროს, რომლებიც ძლიერ ხშირია გურიაში, გადიდება იციან, ასე რომ თავის კალაპოტიდან ამოდიან, ქუჩებს და გზებს აფუჭებენ და ხიდებს გლეჯენ და ანადგურებენ. ამის გამო, განსაკუთრებით ხიდებს მუდამ კეთება და მოვლა ესაჭიროება; უამისოთ ოზურგეთში ვაგლა გასაქირი იქნება და თუ, როგორც ბ-ნი თავდგირიძე ფიქრობდა, 5—6 წლის განმავლობაში ეს ხიდები უბატონოთ დარჩებოდნენ, იმ შემთხვევაში თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოზურგეთში ვაგლა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. აი ასე უპირებდა მოქცევას ბ-ნი თავდგირიძე ქ. ოზურგეთს იმ შემთხვევაში, თუ რომ თფილისში პოლიტენიკუმი დაარსდებოდა.¹⁾ ყვავს არა ჰქონდა-რა და ბუს აძლევდაო, — ნათქვამი რომაა სწორეთ ამასა ჰქვია! თორემ ვინ იქნება ისეთი თავზე ხელ-აღებული თქვას, რომ სწავლა-განათლების საქმისთვის შემწეობა მეტათ ჩინებული და სასარგებლო არ იყოს. მაგრამ რას იტყვით ისეთ მამაზე, რომელსაც შინ შიმშილისაგან შვილები ეხოცებიან და რომელიც იმავე დროს მთელ თავის ქონებას სხვისი შვილების უმაღლეს სასწავლებელში აღზრდას ახმარს? აი სწორეთ ასეთ მამას წააგავს ბ-ნი თავდგირიძე მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი ასეთ საქმისთვის თავის ქონებას კი არა ხარჯავს, არამედ საზოგადოებისას.

ჩვენ აქ არ ვეხებით მეორე საკითხს, რომელიც თავის თავათ ყველას ენაზე მოადგება, სახელდობრ: წარმოვიდგინოთ, რომ ოზურგეთს მართლა შეეძლო 1000 მანეთით და მეტი შეწეოდა, თფილისის და გინდ სხვა რომელსამე ქალაქის უმაღლეს სასწავლებელს. ამ შემთხვევაში ექნებოდა თუ არა საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს დაერღვია ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის განაჩენი, რადგანაც სწორეთ ასე მოექცა ეს საკრებულო ამავე საგნის შესახებ ბათუმის და ქუთაისის საბჭოთა გადაწყვეტილებას, თუმც იმათ ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების სრულიად უვნებლათ შეეძლოთ თავისი განზრახვა სისრულეში

მოყვანათ. ვიტყვით მხოლოთ, რომ ოზურგეთის შესახებ სხვა ნაირათ მოქცევა ამ შემთხვევაში შეუძლებელი იყო. აქ სამწუხარო ის არის, რომ ოზურგეთის ქალაქის საბჭომ თავისი სრულიად მოუფიქრებელი და ყოვლად უსაფუძვლო გადაწყვეტილებით ზედმეტი მასალა მისცა საგუბერნიო საკრებულოს თავის საშინაო საქმეებში ჩარევისა. მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ოზურგეთის ქალაქის საბჭომ ვერც ამ გაკვეთილით ისარგებლა. სწორეთ ერთი წლის შემდეგ (8 თებერვლის 1899 წლის სხდომაზე) თფილისის სავაქრო და სამანუფაქტურო კომიტეტს იგი დაპირდა 200 მანეთს შემოგწირავთ, როცა საკომერციო სასწავლებელი გაიხსნება თფილისშიო. თანხა რასაკვირველია, მცირეა, მაგრამ ოზურგეთის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში არა უმნიშვნელო, მით უფრო, რომ გადაწყვეტილებაში ჩვეულებისამებრ ნაჩვენები არ იყო წყარო, საიდანაც უნდა დაეკმაყოფილებინათ ეს ზედმეტი ხარჯი, როცა შემოსავალი ქალაქის სავალდებულო ხარჯების ნახევარს ძლივს ფარავდა. როცა საქალაქო საქმეთა საკრებულომ ეს გადაწყვეტილება უარჰყო, მაშინ ბ-მა თავდგირიძემ საჩივარი გადაიტანა სენატში (23 ივლისს 1899 წ.), რომ 200 მანეთის დახარჯვის უფლება მოეპოვებია. წინდაწინვე მოსალოდნელი იყო, რომ ამ გზით ბ-ნი თავდგირიძე ამ უფლებას ვერ მოიპოვებდა. აქ ჩვენ საჭიროთ ვთვლით მკითხველს გავაცნოთ ის მოსაზრებანი, რომელთა ძალით საგუბერნიო საკრებულომ უარჰყო ოზურგეთის ქალაქის ხსენებული გადაწყვეტილება.

„Средства городского поселения—ნათქვამია საკრებულოს ოქმში—может быть употребляемы и на другие, относящиеся къ пальзамъ сего поселения предметы, въ предѣлахъ вѣдомства общественнаго управленія, что во всякомъ случаѣ гор. Озургеты самъ находится въ весьма стѣсненномъ финансовомъ положеніи, благодаря чему общественное его управленіе до сихъ поръ не можетъ открыть у себя начальную школы не говоря о множествѣ дру-

ერთი წელიწადი იქნება, რაც ეს ხილი წაიღო მდინარემ და მისი გაკეთება აღარ მოეწყო, რის გამო საზოგადოება დიდ გაჭირვებაშია. აქამდის ოზურგეთის გამგეობა უარს ამობდა იმის გაკეთებაზე იმ საფუძვლით, რომ ვითომც ამ ხილის გაკეთება სოფლის ვალი ყოფილიყოს, თუმც იგი ქალაქის საზღვარშია. ბოლოს ის მაინც იმდენს ეცადა, რომ სოფელს ყოველგვარი საჭირო მასალა დაავალა და ქალაქს მხოლოთ ოსტატის ქირა ახვედრა. მიუხედავათ იმისა, რომ სოფელმა უკვე შეასრულა თავის ვალი, ე. ი. ყოველგვარი მასალა დაამზადა, ქალაქი მაინც არ ფიქრობს თავის დაპირების შესრულებას. ნეტა ერთი ვიცოდეთ ეს რომელი პოლიტენიკუმის ბრალია!

¹⁾ თუმც, როგორც ვიცით, თფილისის პოლიტენიკუმისთვის 1000 მანეთი აღარ გამოუღია ოზურგეთს, მაგრამ ხიდები კი მაინც უბატონოთ არიან მიტოვებული, და იმათ შორის ის, რომელიც ყველაზე უფრო საჭიროა ქალაქისთვის, ე. ი. სოფ. შემოქმედის გზის შესართავთან მდებარე. ავტრ

ихъ неудовлетворенныхъ насущныхъ потребностей города, и что въ приведенномъ примѣрѣ собраніемъ вопреки требованію циркуляра Министра не указано, изъ какого источника и въ какомъ порядкѣ можетъ быть осуществлено предположенное пособіе при отсутствіи. въ каסף города свободныхъ средствъ...

ოზურგეთის მხრით 200 მანეთის გამოღება თფილისის საკომერციო სასწავლებლის სასარგებლოთ, რომლის შუათანა ვაჭარი მთელ ოზურგეთს იყიდის მთელი თავისი ავლა-დიდებით, მსხვილ ვაჭრებს და მრეწველებს რომ თავი დავანებოთ, ნამდვილი უგუნურება იქნება. და გარდა ამისა ოზურგეთი ისეთაც მეტათ შევიწროებულ მდგომარეობაშია ნიეთიერათ, რის გამო მას, აქამდის ვერ მოუხერხებია ერთი პირველ დაწყებითი სკოლის გახსნაც, სხვა არსებით მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებას რომ თავი დავანებოთ. ამას შემდეგ გონიერება მოითხოვდა, რომ ამ საქმეს მსვლელობა აღარ მისცემოდა, რათა ქალაქის საბჭოს სივავლახავე სხვა ადგილასაც არ გამოაშკარავებულიყო, და იმავე დროს ქალაქს უნდა ემეცადინა, რომ სამართლიანი საყვედური და ნაკლი თავიდან აეცილებინა. მაგრამ ბ-ნი თავდგირიძე ასე როდი მოიქცა: მან ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის ვავლახობა სენატს ამცნო, რომ ბოლოს მაინც იგივე უარი მიეღო. შეიძლება ბ-ნმა თავდგირიძემ თქვას, რომ მე პრინციპის აღსადგენათ ვჩიოდი, და არა იმიტომ, რომ 200 მანეთის დახარჯვის უფლება მოეცათ ჩემთვისო. მაგრამ დავარწმუნებთ მას, რომ ამ შემთხვევაშიაც ის სასტიკათ ცდება: პრინციპისათვის ბრძოლა მოსაწონია, მაგრამ ესეც საფუძვლიან ნიადაგს თხოულობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ბრძოლა უფრო ვნებას მოუტანს საზოგადო საქმეს.

რადგანაც სიტყვამ მოიტანა, აქ ერთი შენიშვნა კიდევ. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ბ-ნ თავდგირაძესაც ჰქონებია ერთ დროს მხედველობაში პირველ დაწყებით საქალაქო სკოლების გახსნა ოზურგეთში, რაიცა ჩანს 2 დეკემბერს 1896 წლის სხდომის ოქმიდან, რომელშიაც ვკითხულობთ შემდეგს: „უარი ეთქვას ოზურგეთის საქალბო სასწავლებელს შემწეობაზე, იმ მიზეზით, რომ ეს სკოლა იმუაფებს კერძო საქველმოქმედო საზოგადოების მზრუნველობის ქვეშ, რომელსაც ქალაქის დაუნაზრებლათაც შეუძლია უზრუნველ ჰქონს ეს სკოლა (აი კიდევ ერთი მეტათ ახირებული აზრი: რადგანაც „ეს სკოლა კერძო საქველმოქმედო საზოგადოების მზრუნველობის ქვეშ იმყოფება, ქალაქის შემწეობას იგი აღარ საჭიროებსო! საუცხოო ლოდიკა!). ქალაქი თავის მხრით ეცდება თავის

საკუთარი სკოლები გახსნასო“. ამას შემდეგ გავიდა რამდენიმე წელიწადი, რომლის განმავლობაში ქალაქის საბჭო რკინის გზის გაყვანის საქმესაც კი შეუდგა, პროგიმნაზიის დაარსებისთვისაც კი იზრუნა, თფილისის პოლიტექნიკუმს და კომერციულ სასწავლებელს შემწეობაც დაპირდა და სხ. და სხ., მაგრამ ამ სკოლების შესახებ არა თქმულა-რა. მხოლოთ 1898 წლის დამლევს (26 ოქტომბრის სხდომაზე) დაუდგენიათ: „თავისუფალი ფულებიდან გადაღებულ იქმნას ცოტადენი თანხა ქალაქის მცხოვრებთა ზირველ დაწყებითი სწავლის გასადიერებლათ.“ ეს იყო და ეს: ამაზე მეტი არც რამე თქმულა ამ საგანზე და მით უმეტეს არცა რა გაკეთებულარა.

ფ. მახარაძე.


(შემდეგი იქნება)

სხვადასხვა ამბები

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს გაამრავლოს სასოფლო სამეურნეო სასწავლებლები და რაც შეიძლება ხელი შეუწყოს ხალხში მეურნეობის გავრცელებას. ამ ახალ სკოლებთა რიცხვშია სოფ. ოძისის მომავალი სამეურნეო სკოლაც.

სამშაბათს, 29 აგვისტოს, თფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა თფილისის ხელოსანთა კრება, რომელსაც წარედგინა განსახილველათ სარევიზიო კომისიის მოხსენება ხელოსანთა თავის სერობიანცის მოქმედების შესახებ 1897—1900 წლების განმავლობაში. მოხსენების სიტყვით, სახელოსნო გამგეობაში ყველა საქმეები უწყეს-რიგოთ უწარმოებიათ, შემოსავალ-გასავლის დავთრები და წიგნები სრულიად არ არის გამგეობაში, მათ მაგიერობას ასრულებს საკვიტანციო წიგნი და რაღაც ხელწერილები. გარდა ამისა გამგეობა უკანონოთ და არა თანასწოროთ ანაწილებს ხელოსანთა შორის საზოგადო გადასახადებს. გამგობის დაუდევრობის გამო ხელოსნებზე შეგროვდა დიდი ნედლიკა. გამგეობა სრულიადაც არ ზრუნავდა ხელოსნების საჭიროებათა შესახებ. მოხსენებამ გამოიწვია ხანგრძლივი ბაასი; ბევრმა დამსწრემ საყვედური გამოუცხადა სერობიანცს უნაყოფო სამსახურისათვის. ბოლოს კრებამ დაადგინა მოთხოვოს სერობიანცს პასუხი და ამისთვის ვადაც დაუნიშნა („ც.ფ.“).

ამ წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტში აარსებენ ინგლისური ენის კათედრას.



კავშირი ჩითავეის ღვინით მოვაქრე ფირმას თავისი არსებობისა 50 წელიწადი შეუსრულდა წელს. ეს ისეთი იშვიათი შემთხვევაა ქართველობისთვის, რომ სწორეთ ღირს-შესანიშნავია. დამაარსებელი ფირმისა ბ-ნი ჩითავეი (თელაველი ქართველი) ამ ჟამათ ჯერ ისევ თითონ აწარმოებს ფირმას და ძალიან თამამათ და ენერგიულათ მიჰყავს საქმე.

უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის ნება მიეცათ სხვათა შორის სამეურნეო სასწავლებლებში კურს დამთავრებულთაც, მაგრამ უფლება ეძლევათ მხოლოდ იმათ, ვინც იქ პირველი ხარისხით ასრულებს სწავლას.

საინტერესო ცნობა მოჰყავს „თფილისის ფურცლს“ იმის შესახებ, თუ რომელ ქალაქის მცხოვრებთ რამდენი უჯდებათ ქალაქის თვითმართველობის შენახვა, ქალაქის მოვლა პატრონობა, სკოლები, საავათმყოფო და სხვ. ყოველი მცხოვრები იხდის ქალაქის სასარგებლოთ შემდეგს: კიევისა—14 მ. 72 კ.; ბაქოსი—14 მ. 25 კ.; ოდესისა—12 მ. 80 კ.; მოსკოვისა—11 მ. 83 კ.; რიგისა—11 მ. 37 კ.; სარატოვისა—10 მ. 30 კ.; ხარკოვისა—10 მ. 86 კ.; პეტერბურგისა—10 მ. 60 კ.; თფილისისა—7 მ. 78 კ.; ფოთისა—22 მ. 45 კ.; ბათუმისა—23 მ. 20 კ.; ერევნისა—3 მ. 88 კ. გამოდის რომ პირველი ადგილი უჭირავს ბათუმს, შემდეგ ფოთს და უკანასკნელი თფილისსა და ერევანს.

მოსალოდნელია ნავთი გაიფუდდეს, რადგან ბაქოში ამ ბოლო დროს ძალიან უმატნია ნავთის წარმოებას, მაგ. იენისში ამოუღიათ 43.000,000 ფუთი ნავთი, ხოლო იგლისში კი 62.000,000 ფუთი.

განზრახვა აქვთ უსაქმოთ დარჩენილ სამთო მუშებს რაიმე დახმარება აღმოუჩინონ; ამაზე მრეწველთა უკანასკნელ კრებაზე აღიძრა ლაპარაკი და განიზრახეს დაშავებულ სამთო მუშათა დამხმარებელი საზოგადოების შედგენა, ამ ჟამათ იმ საზოგადოების პროექტი კიდევ შეუდგენიათ და მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში წარუდგენიათ დასამტკიცებლათ.

ქართული სახალხო წარმოდგენების გამგე კომისია თხოვს ყველას, ვისაც კი სურვილი აქვს ამ საქმეს დაეხმაროს, წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებით თუ სხვაფრივ, მიმართოს ავქალის ქუჩაზე № 72 მარამ დემურისას.

როგორც ვიცით ამ ზაფხულს გამოვიდა ახალი დებულება სახელმწიფო გლეხთა მიწის მფლობელობის შესახებ. ახლა შემდგარა საგანგებო კომისია, რომელმაც ამ დღეებში უნდა დაიწყოს მუშაობა ახალი დებულების შემოღებისა და მისი დაწვრილებითი წესრიგის შესადგენათ. კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნულია სახელმწ. ქონებათა მინისტ. რწმუნებული კავკასიაში ი. ს. მედვედიევი. თავმჯდომარეს ნება ეძლევა, უმაღლესათ დანიშნულ წევრებს გარდა, კომისიაში მოიწვიოს კერძო მცოდნე პირებიც.

მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ ოზურგეთის მაზრაში თამბაქოს საცდელი პლანტაციები გაშართოს და ამ საგნისთვის გადაუღვია 9000 მ.

როგორც ვაზ. „ივერიას“ ატყობინებენ, 1-ლენკენისთვიდან მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ ლექციების კითხვას დაიწყებს პროფ. ა. ს. ხახანაშვილი. იმედია ქართველი სტუდენტობა სიხარულით მიეგებება ამ ამბავს.

გორის თვითმართველობას ლაპარაკი აქვს იმაზე, რომ ვახსნას ორი საპროფესიონალო სკოლა ქალებისა და ვაჟებისა, დაარსდეს ქალაქის საავათმყოფო და დაწესდეს ქალაქის მკურნალის თანამდებობა. ღმერთმა ჰქნას რომ გორელებს გამოეცდეთ.

მაღე თფილისში ჩამოვა 40—50 საფრანგეთის სტუდენტი, რომელთაც განზრახვა აქვთ ადგილობრივ შეისწავლონ ჩვენი მხარე; გაიცნონ ისტორიულათ და წარმოების მხრივ ყველა შესანიშნავი ადგილები.

„კეალის“ კორესპონდენციები

სოფ. ქაძითა. (ოზურგეთის მაზრა) სოფელ ძიმიტში არსებობს ორი სამინისტრო და ორიც სარეგულაციო სკოლა; კანცელარიაც არსებობს ძველი წიგნიანობის მუშაობისთვის, წიგნსაცავიც არკლასთან სკოლისთან მთავსებულია; აქ გაიხსნა ამ თვეში ბანკიც, არის ოსოგენა გავზაფნილა მუქრე არკლასთან სკოლისაც, ხმა დადის სქალებს სკოლაც არსდება; სწორეთ თუ სხვა სოფელია სდამე ჩვენ ძიმიტლებიც ვართ!

სას. წიგნი საცავ-სამკაიხვედს ნებართვა არის ადგილობრივ. დომადის სასკოლზე აკერ 5—6 წელია, რომელ-

საც შემოწირულებანი ფულის, წიგნებით და წარმოდგენებით დანაც ჰქონდა. ცოტას ხანს ბ. ზართყვას აღ. გოთუა უკვეთდა მას ქართულ ჟურნალ-გაზეთობას, დღეს აღარც ქართული და აღარც სხვა წიგნები არ ჩანს. მადლობის ღირსია ვ. ლომიძე რაც იშრომა მისთვის, მაგრამ შესავალ გასავალ და დანარჩენ ანგარიშს, რომ უზენებდეს საზოგადოებას ძალიან კარგი იქნება. აგრეთვე თუ თითონ არ შეუძლია მართვა კარგი იქნება ისეთს გადაცემდეს წიგნთ-საცავს ვისაც უკეთ შეეძლება მისი მოვლა და-ხატონებაც, თორემ რა კარგია რომ ხატონებ-ხატონებ წიგნებს ხალხი აქა იქა ჰოულობს.

სკოლების შენობებს არა უშავს-რა, მაგრამ ზოგში წვიმის, ზოგს ბუნარი არა აქვს, ზოგს კარები და ჩვენ მამასახლისის კი მასწავლებლის ხვეწნა მუდარისა არა ეს-მის რა, ამას კი ხშირათ ამბობს: მასწავლებლებმა ჩემი სიცოცხლე გამწარესო. კლასის მისამსახურის ფულს იხდის სოფელი, და კლასი კი „უსტორო-ყოთ“ არის. ამ ფულს მამასახლისის აგრძელებს და თან მასწავლებლებს აკინებს ხალხთან; ამიტომაც არის რომ აქ 4 წელიწადში რვა მასწავლებელი გამოიცვალა. ვერავინ ვერ ჩერდება ამისთანა წეს რიგის დამცველის მოწყალებით. გზები სრულიად არ ვარკა. ბოგინებს ვინ უკლებს უურს, ზანას რომ ერთხელ გაუყვანია გზა მასხედ დადიან დღესაც, თუ კი გავლა შეიძლება, მეტადვე ავდარში. მხოლოდ საზოგადოების ცხენი ვისაც ჰქვას ის არ ის-ველებს ფეხს.

აქ არსებობს შესანიშნავი ფოკას დუქანი, სადაც დღე და ღამე არ არის მოსვენება. ერთთავთ გაუთავებელი ღოთობა და ათასი უწესობა ხდება. ნაქრებათ ქალები ჰქვას და ისინი უფრო უწვებენ ხელს ჩხუბს და ალიაქოთს, მაგრამ დამშლელი არავინა არის.

ერთგულობით.



დ. ხადასთავი. გამორცხლდა ხადისთავი. სამ კვირაში ზედი ზედ სამი სალიტერატურო სადამო გაიმართა აქა. ამ სადამოებმა ბოლოს სწავს სხე მიიღეს, ათასჯერ გადადგომილმა და თითქმის მოპოვებულმა ღექსებმა და სსსცხნა ოხუნჯობამ ადგილი სემეცნიერო წერილებს და დღიურ კითხვებს დაუთმეს: ზირველი სადამო გაიმართა ოცდა ოთხ ივლისს. თუმცა მას ჩვენთვის სამეცნიერო თითქმის არაფერი მოუწოდებია, მაგრამ მანინ გვარინათ ჩაიარა. მოჭევენი სხვა სადამოები მეცნიერული ნაწილით. მეორე სადამო ცამეტს მარამობისთვის იყო. მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი ხალ-გაზ-დობა. სხვათა შორის წაკითხულ იქმნა წერილი ღვინის სმის შესახებ, რომელიც ზრინციხიალურათ უარს ჰქოფს მაგარ სასმელებს, კერძოთ ღვინის სმას. ამ წერილმა საზოგადოების ერთი ნაწილი, „ლეკუროსხნნი“, აყვანა. აქვე იყო წაკითხული „ტეშინი“, ი. ეკლასისა და ალხა-

ზიშვილის „ბუნება და ცხოვრებიდან“ ზირველი მესამე სადამო უფრო შესანიშნავი იყო, რადაც გადასწავ-ბა ჩვენმა ხალგაზდობამ. ისეთი შეუმუშავებელი, „მადალ ფარდებში“ მორისინე რეფერატები წარუდგინეს საზოგადოებას, რომ უმრავლესობას თავ-ბრუ დახვევის მეტი არაფერი გამოუტანია. ამან გამოიწვია ხალხში მოუსვენრობა და ხმაურობა. ამ სადამოზედვე წარმოდგენილი იყო „ადვოკატი შელადე“ და შილდერის „ავაზაკე-ბის“ ერთი მოქმედება. სტენის მოყვარენი რალებს გვარინათ ასრულებდენ.

დიდი მადლობის ღირსნი არიან სადამოს მონაწილენი, რომ ხალხს გონების გასართობი, ცოტათ მანინ მიასწოდეს. დასასრულ გამართეს ნება ეოფლობით მოკრება ფულისა და შეაგრძევეს ერთი მანათი და შვიდი კაპიეკი. მადლობის ღირსია აგრეთვე საზოგადოებაც, რომ ბლამათ ესწრება სადამოებს!

მო—ნი.

ომის ამბები

უკანასკნელი ტელეგრამები ჩინეთიდან გვაწვებენ, რომ ჩინეთის ცნობილ დამლობატ ღიხუნ-ჩანგს გადაუცია სხელმწიფოებისთვის რწმუნების სიგელები, რომლებითაც მას მინდობილი აქვს თავისი მთავრობისაგან მოკრიგების შესახებ მოლაზარაკება დაიწყო. მას შესაძლებელია, რომ ხალხ მომავალში ჩინელი ხალხის მოძრაობა ჩაქრეს და ამ ბუმბერაზმა სხელმწიფომ ადგილათ ქელი მოიხაროს ევროპის წინაშე? თუმც კაცობრიობის ინტერესები მოითხოვენ ეს ასე მოხდეს, მაგრამ სამწუხაროთ ასეთი დრო ჯერ კიდევ შორს არის. აი ამის რამდენიმე დასამტკიცებელი საბუთიც. ჯერ ერთი ისა, რომ თვით ეს მოლაზარაკება მოკრიგების შესახებ, ჩინეთის სურვილი არ არის, საქმის ვითარება კი მოითხოვდა, რომ ეს თვით ჩინეთისაგან ეოფილიყო დაწვეული, რადგანაც ევროპის სხელმწიფოები დამარცხებულათ დღეს მას თვლიან. საკვირველება თუ გნებავთ სწორეთ ეს არის: გამარჯვებული სხელმწიფოები ემუდარებიან დამარცხებულს: ჩვენ ძლიერ-მოსილ ჯარებს თქვენ სატახტო ქალაქდან გავიყვანთ, და მოდით ღვთის გულისთვის ბოლო მოვიუდოთ ამ ომსო. დამარცხებული კი შორს დგას, თითქო არ ეუურება, რას ეუბნებიან მას და მხოლოდ თავი რომ არ მოაბურთონ მეტი თხროფიო ნიშნავს ერთ თავის მოხელეს, წადით და იმას ელაზარაკეთ რამდენიც გნებავთ, მე კი ჩემისა ვიზამო. ასეთია გარეგანი სხე ამ მოლაზარაკებისა. მაგრამ როგორ გვინათ: ნუ თუ ევროპა დღეს გამარჯვებულია ჩინეთში? და ნუ თუ მეორე მხრით ჩინეთი დამარცხებულია? • კითხვები, რომლების გამორკვევა ჩვენ მეტათ საძნელოთ მიგვანინა ჯერ-ჯერობით. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ სამხრეთ ჩინეთში, უმეტესათ

ქალაქ კანტონის მახლობლად ჩინელების მოძრაობა ევროპელებს წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო მატულობს. ასევე ხდება სხვა ადგილებშიც და თუმც მანჭურია გარეგნობით დააწინარა რუსეთმა თავისი მრავალ-რიცხოვანი გარწვრთნილი ჯარებით, მაგრამ სამაგიეროდ ამ უკანასკნელ ხანებში მონგოლთა ეტეობა რაღაც საირი მოუსვენრობა. ქალაქ კიანტიდან იტყობინებიან, რომ „მონგოლები რუსეთის საზღვრებისაკენ მიეშურებიან სამომართ, რომ იმათ ზარბაზნებიც აქვთ“. რას ნიშნავს ასეთი მოძრაობა ჯერ გამრეკვეული არ არის, მაგრამ ეს რომ მშვიდობიანობის ნიშანი არ არის, ეს კი ცხადია.

აშკარაა, რომ ევროპელთა ამას ხედვენ ევროპის სახელმწიფოები და ამიტომაც არის რომ ამის გაგრძელება აღარ სურთ ჩინეთში, რაც აუარებელ ხარჯს თხოულობს თუ ფულით, თუ ადამიანთა მხეგრულობით. ზირველი ნაბიჯი მშვიდობიანობის ჩამოგდებასთვის ჩინეთში, როგორც ვიცით, რუსეთის მთავრობამ გადადგა მით, რომ მან წინადადება მისცა დანახენ მოკავშირე სახელმწიფოებს ჩვენ-ჩვენი ჯარები გაეფიქროთ ჰეიბინიდან და რაცა ასეთ მოქმედებას დაინახავს ჩინეთის მთავრობა მ:შინ ის უფრო ნდობით მოგვექცევა და მშვიდობის ჩამოგდებასაც მოისურვებს. მაგრამ ამ წინადადებას ევროპის სახელმწიფოები ერთი ერთმანეთს დააშორა. მართალია, ამ წინადადებაზე გადაჭრით უარი გერმანიასა და იტალიას გარდა ჯერ-ჯერობით არავის უთქვამს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი ზრდილობის დასაცვლათ. დღემდე რუსეთის წინადადებაზე სრული თანხმობა განაცხადა მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რაც მხოლოდ იმით აისხნება, რომ ამ უამათ საზრეზიდენტო არჩევნები იწყება და დღევანდელ ზრეზიდენტს, მაკ-კინლეის, ამისთვის აღარ სცაღია. იანონია მსათაა დააკავოფილოს მხოლოდ რუსეთის წინადადების ერთი ნაწილი, ე. ი. გაიკვანოს ჰეიბინიდან თავის ჯარების რამდენიმე ნაწილი, და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამაზე ევკლას დანახენი სახელმწიფოები სრულ თანხმობას განაცხადებენ. რაც შეეხება ინგლისს, მისი ხამდვილი წადილი ამის შესახებ ჯერ არავინ უწყის. გერმანიას კი მაგრათ დგას თავის უარზე. როგორც ვიცით, იმპერატორი ვილ-ჰელ მეორე მარტო თითონ კისრულობს ჩინეთში ომის გაგრძელებას და ჩინელების სასტიკათ დასჯას. მას წარმოდგენილი აქვს, რომ იგი მოწოდებულია თვით განგებისაკენ შური ეძიოს ჩინეთში შურად-ყოფილი ევროპელების; ის იმდენს კახდა, რომ ჩინეთის მოკავშირე ჯარების მთავარ სარდალთ თავისი გენერალი, გრაფი ვულდერფე, დახიშნინა. ამასთანავე ზირველ სექტემბრისათვის გერმანიის ჯარების რიცხვმა ჩინეთში 19,000 უნდა მიაღწიოს. 12 აგვისტოს კი ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო ძალა ჩინეთში, გარდა რუსეთისა, ასე გამოიხატობდა: გერმანიას ჰევადა: 91 აფიცერი, 13,150 ჯარის კაცი, 6 ზარბაზანი და 344

ცხენი; ინგლისს: 218 აფიცერი, 6,747 ჯარის კაცი, 35 ზარბაზანი და 1897 ცხენი; ამერიკის შეერთებულ შტატებს: 181 აფიცერი, 5,427 ჯარის კაცი, 17 ზარბაზანი და 1,239 ცხენი; საფრანგეთს 192 აფიცერი, 5,186 ჯარის კაცი, 37 ზარბაზანი და 570 ცხენი. — მხოლოდ მომავალი დაგვანახვებს, რა გამოვა დღევანდელი მდგომარეობისაკენ, თუმცა სამშვიდობის ჯერ კიდევ ვერაფერს ვხედავთ.

სამხრეთ ამერიკაში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. ლონდონის რებერტსმა უკვე მანიფესტი გამოცხადდა, რომელიც ტრანსვალის რესპუბლიკის შეერთებას აცხადებს. მაგრამ ამნარი შეერთება ევროპულ სოფულს მოკლებულია, რადგანაც ინგლისის ჯარებს ჯერ კიდევ რესპუბლიკის შეოთხილიც არ დაუჭერიათ, და რაც დაჭერილი აქვთ, იქაც ფეხი მოკიდებული არა აქვთ, ეს აშკარათ ჩანს იქიდან, რომ ამ დღეებში, როგორც ტელეგრაფებმა გვაცხადებს, ინგლისის ჯარებს დაუტოვებიათ ბეთლემი, ფურუსოურკი, სენეკალი და ლედინანდი, რომლებიც სულ-ახლა ბურებს დაუჭერიათ. მაგრამ საქმე ის არის, რომ რებერტის მანიფესტის შემდეგ, ბურებს მოექცევიან, როგორც შეამბოხეთ, რომელთა დასამშვიდებლათ მთავარ სარდალი არავითარ სასტიკ ზომას არ დაზოგავს. ერთობ გასაკვირველია, რატომ არ რცხვენია რებერტს ან თავისი დიდებული ერის და ან თავისი თავის წარსული სამსახურის, რომ იგი აღარც უბრალო კაცთ-მოყვარეობას უუერებს და აღარც საერთო შორისო უფლებას. მაგრამ სადღაა დღეს ეს მადლი ზრინციპების სხვაფორივ რომ ვერას კახდა რებერტსი, ახლა მას მტარვალური ზომებით სურს დაიმორჩილოს ერთი მუჭა თავისუფალ მებრძოლთა რაზმები. მაგრამ რამდენათ აღწევს ასეთ მიზანს რებერტსი ეს შემდეგისაკენ ჩანს. 25 აგვისტოს თარლით გამოგზავნილი ტელეგრაფმა კადმოგვეცხად: ბულერმა შეატოების ბურებს, რომ ტრანსვალის რესპუბლიკა უკვე შეერთებულია ინგლისთან, ამიტომ რისთვის იბრძვიოთ. ამის ზასუხათ ბოტამ თხოვა ეცნობების მისთვის: ინგლისელები დატევევებულ ბურებს კიდევ გზანიან თუ არა კუნძულ ცვილანზეო. რაცა ბულერმა უზასუხა, რომ ისევ ვგზავნიოთ, მ:შინ ბოტამ განაცხადა, რომ ბურები უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოლებენ და მეორე დღესვე დაეცნენ ინგლისის სიმარტებს.

აი უკანასკნელი ტელეგრაფები ომის შესახებ: ლონდონი. „ტაიმს“-ის ატყობინებენ მანჭიდან: ლიხუნჩანგმა მიმართა იმპერატორს და დედოფალს თხოვნით, რომ დაბრუნდნ ჰეიბინში. რუსეთის წინადადებაზე იანონიამ განაცხადა, რომ ის მსათ არის გაიყვანოს ჰეიბინიდან ჯარები და აგრეთვე აღასრულოს ევროპელივე, რასაც მოკავშირე სახელმწიფოები გადაწყვეტენ; რადგანაც მისი გოგრაფიული მდებარეობა ევროპის

ნებას აძლევს დაუფრებელივ გაგზავნოს ისევ ჯარები, თუ საჭიროება მოითხოვს. ჩინეთის ელჩი ჰეტერბურგში დეპეშით ატყობინებს ლიხუნჩანგს, რომ რუსეთმა წინადადება მისცა სახელმწიფოებს ჰეიინიდან ჯარების გაყვანის შესახებ იმ იმედით, რომ სამეფო სახლი დაბრუნდება პეკინში მამინვე, როგორც კი წავლენ ჰეიინიდან მოკავშირეთა ჯარებიაო. „დეილი ტელეგრაფ“-ის ატყობინებებს შანჭაიდან, რომ იმ ჩინელთა ჯარებისაკან, რომელნიც გაიგზავნენ ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში სამხრეთიდან პეკინში მეოთხე ჯარების მისაშველებლათ, დაჩხა მხოლოდ 13,000. ისინი წავიდენ შანსიში ქვირთვ დედოფალთან. დანარჩენი გაბეულ იქნენ და აქეთ იქით გაიქცენ. — ლორენცო-მარკეზე: აქ მოვიდა კრიუგერი. — ტიან-ძინი. ქვირთვი დედოფალი და იმპერატორი, ზრინც-ცინის სიტყვით, იმყოფებიან კალჯანში. — ვაშინგტონი. იმპერატორის ბრძანება ამბობს: „ლიხუნჩანგს, ჩვენ წაშენებულ ელჩს, ეძლევა ნება გამართლს მოლაშჩაყება მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. მან კეთილ-სინიდიურათ უნდა განიხილოს ყველა საურადადებო საგნები, რადგანაც ჩვენ შორიდან არ შეკვიძლია თვალ-ყური ვადვენათ მის მოქმედებას. — ტიან-ძინი. მოკავშირეთა ჯარები, 4,000 კაციისაკან შემდგარი, წავიდენ ჩუენ-ხი-ტინსა და იტალიაში, საიდანაც „დეილი მუშტი“ ემუქრება ტიან-ძინის ილქს. — შანჭაი. ჩრდილოეთ შანდუნში „დეილი მუშტი“ შეუერთდა „დეილი დანის“ საზოგადოებას. ხმა დადის, რომ მუდმივ ჩინელ ჯარებს ციანსუს ჩრდილოეთით უომნიათ „დეილი მუშტთან“ და დამარცხებულან. — კანშუტადტი. ბუფერმა, სპიცკანისენს მიმავალმა, აიღო დავლათ ერთი ზარბაზანი და რამდენიმე ტანი სურსათი. ბურებმა გადმოჭყარეს მთის ფერდობებიდან მძიმე ზარბაზნები, რამდენიმე ტანი სომარი მასალა და 13 ჰოფოზკა, რომ ესენი ინგლისელთ არ ჩაეკდოთ ხელში.

ხელოვნება და მისი მიზანი.

(შემდეგი *)

თუმცა სახელოვნო პროცესი აუცილებელია და მიზანს მოკლებული, მაგრამ აქედან ის დასკვნა სრულებით არ გამომდინარებს, ვითომ ხელოვნების მსახურს არავითარი მიზანი არ უნდა ჰქონდეს დასახული. როგორც ყოველი მოღვაწე, ისიც რაიმე მიზანს უნდა მისდევდეს. პირველი შეხედვით ეს აზრი მკითხველს პარადოქსათ ეჩვენება; ის უსათუოთ იფიქრებს: თუ კი სახელოვანი პროცესი რეფლექტორულია და მიზანს მოკლებული, მაშას-

დამე მწერალიც მორჩილია ამ პროცესის, მას არ შეუძლია ის წარმოდგენანი და გრძნობები მოახატოს, რომლებიც მას ამ დროს აღეფეგენ. მაშ მიზნის დასახვას რაღა მნიშვნელობი აქვსო! მაგრამ აქ რომ არავითარი პარადოქსი არ არის, ამას ახლავე დავანახვებ მკითხველს. მივმართოთ ჯერ მაგალითებს. საქმლის მიღება, საზრდოობა აუცილებელი პროცესია: თუ მოვიდა ადამიანი, ეს გრძნობა მას ძალას ატანს, საზრდო მიიღოს. მიუხედავათ ამას ადამიანს შეუძლია, ამ აუცილებელ პროცესს მიზანი მოუწახოს და ის ისეც ირჯება: ის ცდილობს, საზრდო მისთვის მარგებელი იყოს, და ყოველ გვარ მაზარალებელ ნივთიერებას ერიდება. თუ არსებობს გარეშე მიზეზი, გრძნობელობა აუცილებელ პროცესს შეადგენს ადამიანის ბუნებაში; რამდენიც უნდა ვეცადოთ გრძნობელობას ვერ მოვსპობთ; მაგრამ აქედან ის დასკვნა არ გამოდის, ვითომ შეუძლებელი იყოს გრძნობელობა მიზანს შევეუფარდოთ; გამოცდილება ყოველი ჩვენგანი დაარწმუნა, რომ ზოგი გრძნობელობა სასიამოვნოა, ზოგი კი უსიამო; ამიტომ ყოველი ჩვენგანი ეტანება სასიამო გრძნობელობას, უსიამოს კი ერიდება და ხშირათ თავიდან იცილებს, თუმცა ერთიც და მეორეც ერთიანათ აუცილებელი არიან. შეიძლება, ბევრი მოინახოს იმის მაგალითები, რომ რაიმე პროცესის თვითარსი, ობიექტიური უმიზნობა სრულებით არ აიძულებს ადამიანს, საკუთარი მიზნის დასახვას თავი დაანებოს და ბუნების ხელში უსულგულო ავტომატათ გადაიქცეს. მაშ როგორ შეიძლება, ხელოვანმა მიზანი დაისახოს მაშინ, როდესაც სახელოვნო პროცესი უმიზნოა? ჩვენ ვიცით, რომ ეს პროცესი რეფლექტორულია, მისი წარმომშობია ერთის მხრით გარეშე მიზეზი, მეორეს მხრით ხელოვანის ფსიხიკა. ერთი მიზეზი იწვევს ხელოვანში შესაფერ წარმოდგენებსა და გრძნობებს ანუ შესაფერ ხელოვნებას, მეორე მიზეზი თავის შესაფერს ანუ სხვა გვარს, მესამე კიდევ სხვა გვარსა და სხვ. ყოველგვარი წარმოდგენანი და გრძნობები რომ ერთნაირი ღირსებისა და ფასის იყვენ ხელოვნის თვალში, შეუძლებელია; უსათუოთ ერთს ის მეტ მნიშვნელობას აძლევს, მეორეს ნაკლებს, მესამეს არაკითარს. ამიტომ მას სრული უფლება აქვს და შეუძლია კიდევ, ეძიოს ისეთი გარეშე მიზეზები, რომლებიც მასში იწვევენ მნიშვნელოვან წარმოდგენებს და გრძნობებს; ისეთ მიზეზებს კი, რომლებიც მის თვალში უმნიშვნელო წარმოდგენებს და გრძნობებს იწვევენ, ყურადღება არ მიაქციოს, ერიდოს. ამ გვარათ მისი სახელოვნო პროცესი ისევე ისე

*) იხ. „კვალ“ № 34.

რეფლექტორული, აუცილებელი დარჩება და თავის თავთ უმიზნო, ხოლო თვით ხელოვანის მიერ საზრიანათ მიმართული მიზნისაკენ. აიღეთ მთელი ის დარგი ხელოვნებისა, რომელის სიუჟეტიც ისტორიიდან არის აღებული. ისტორიული სიუჟეტების მოწამე თვითონ მწერალი არ არის, მაშასადამე არც შეიძლება იმის თქმა, მწერალმა დაინახა და უმიზნოა დახატაო. ყოველი მწერალი სანამ სახელოვან ნაწარმოებს დაწერდეს ისტორიული შინაარსისას, სწავლობს შესაფერ ეპოქას, ჩხრეკს არხივებს, პროტოკოლებს და სხვ. აქედან აშკარაა, მწერალი წინდა-წინვე გამოარკვეული და განსაზღვრული მიზნით შეუდგება ხოლმე შრომას.

რა საზომით უნდა ხელმძღვანელობდეს მწერალი, რომ გაარჩიოს, როგორ წარმოდგენებსა და გრძნობებს მეტი ფასი აქვთ, როგორს ნაკლები, როგორს სულ არავითარი ე. ი. რაში უნდა მდგომარეობდეს ყოველი ხელოვანის მიზანი? ხელოვნების მიზნის შესახებ სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა აზრი არსებობდა. მაგალითათ, ენციკლოპედისტთა (ვოლტერი, დიდრო და სხვები) აზრით ხელოვნების მიზანი თავისუფლება არის. კანტი ამტკიცებს, ხელოვნების მიზანი შვენიერებააო. საფრანგეთის მწერალი თეოფილ გოტიე ქადაგებს: *l'art pour l'art*-ს, დიუმა—მამა ამტკიცებს: ხელოვნების მიზანი საზოგადოებრივი სარგებლობა არისო. შესანიშნავი ფსიხოლოგი ბენი თავის ფსიხოლოგიაში აღიარებს: ხელოვნების პირდაპირი მიზანი სიამოვნება არის და ამიტომ ყოველისფერი, რაც სიამოვნებას ხელს უშლის, ხელოვნებიდან განდევნილი უნდა იყოსო; სიამოვნების მიზანს ემხრობა სპენსერიც; გიუიო თავის ესტეტიკაში ამ აზრის არის: სასარგებლო, შვენიერი და საამო თავდაპირველათ ერთი და იგივე იყო, მაშასადამე ხელოვნების მიზანიც სარგებლობა არისო, და სხვ. და სხ. ხელოვნების ყოველი მსახური მე მიმაჩნია საზოგადო მოღვაწეთ. ყოველი საზოგადო მოღვაწეობა მხოლოდ სამკვარაა: სასარგებლო საზოგადოებისათვის, უსარგებლო და საზარალო. ვინც საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოდის, მას სახეში უნდა ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო მოღვაწეობა და ეს ასეც იყო ყოველ დროს. ძვირათ გამოსულა საზოგადო ასპარეზზე მოღვაწე იმ მიზნით, რომ საზოგადოებისათვის ზარალი მოეტანოს, ან უქმათ წყალი ენაყოს და არა გაეკეთებინოს-რა. აიღეთ რა მავნებელი მოღვაწეც გინდათ. რა ზარალიც უნდა მოეტანოს მას საზოგადოებისათვის, უმეტეს შემთხვევაში ის დარწმუნებული იყო, რომ სარგებლობა მოჰქონდა; არიან, რასაკვირველია, ისეთი

მოღვაწეები, რომლებიც საზოგადო საქმის ქერქში პირად ინტერესებსა და ანგარიშებს ახვეწენ და შეგნებულათ საზარალოთ მოქმედებენ, მაგრამ ასეთ მოღვაწეს საზოგადო საქმე კი არა აქვს სახეში, არამედ თავისი საკუთარი „მე“ და ამიტომ ჭეშმარიტი მოღვაწეობის კვლევაში მათი მაგალითები არაფერს არ გვეუბნება იმის მეტს, რომ დაბალი მიმართულების ადამიანი ყოველთვის იყო და არის.

ზემოთ ნათქვამიდან ის აზრი გამომდინარებს, რომ ხელოვნების ერთად ერთი მიზანიც საზოგადოებრივი სარგებლობა უნდა იყოს. ყოველივე ადამიანისაკენ, ყოველივე ადამიანისათვის, აი რა უნდა იყოს ყოველ მოღვაწის და აგრეთვე ხელოვანის დევიზი

როდესაც ხელში აიღებთ რომელსამე გამოკვლევას ესტეტიკის შესახებ, ერთ გასაოცარ მოვლენას დაინახავთ: ყოველ ავტორს, მეტაფიზიკი იქნება ის, პოზიტივისტი, თუ ევოლუციონისტი, აქსიომათ დაუსახავს კანტის აზრი, რომ ხელოვნების მიზანი შვენიერებაა, ან ხელოვნება თვით შვენიერებათ მიაჩნია, და ყველა მარტო იმას ცდილობს, რომ განმარტოს ეს შვენიერება და გამოიკვლიოს იმის კანონები. იყო დრო, როდესაც ლიტერატურას ყველა თელიდა მაღალი წოდების გასართობ ვარჯიშობათ: მწერლები მხოლოდ ამ წოდებისთვის წერდენ, მხოლოდ მისი სიამოვნება ჰქონდათ მხედველობაში, სხვა არაფერი. ამიტომ სრულებით ჩვეულებრივია, თუ ასეთ დროს ქადაგებდენ: ლიტერატურამ ცხოვრება უნდა უარჰყოს, მისი მიზანი შვენიერებაა, ის თვით არის შვენიერებაო და სხვა ამ გვარი. მაგრამ ჩვენ დროშიც რომ ასეთი ქადაგება კიდევ მძლავრათ გაისმის, ეს კი გასაოცარია. საფრანგეთის ნიჭიერი ფილოსოფოსი გიუიო თუმცა სპენსერისა და კანტის აზრის სრული წინააღმდეგია, მაგრამ ხელოვნების მიზანი რომ შვენიერებაა, მასაც აქსიომათ მიაჩნია, ხოლო ამტკიცებს: თავდაპირველათ სასარგებლო, შვენიერი და საამო ერთი და იგივე იყო, და ამგვარათ ხელოვნების საბოლოო მიზნათ სარგებლობას აღიარებს. ზოგიერთი მისი საბუთები სრულებით ჭეშმარიტია, მაგრამ შვენიერი და სასარგებლო ერთი და იგივეც რომ არ ყოფილიყო თავდაპირველათ, ეს მაინც არ ამტკიცებს, ვითომ ხელოვნების მიზნათ შვენიერების დასახვა აქსიომა იყოს. დღეს ასეთი ქადაგება: ხელოვნების მიზანი შვენიერებაა, ხელოვნება თვით შვენიერებააო, უარყოფელი უნდა იყოს. ხელოვნება მიბაძვია სინამდვილის, მიუხედავთ იმისა, შვენიერი იქნება ეს სინამდვილე თუ არა. სახელოვნო პროცესში მე ვერ ვამჩნევ ვერა-

ფერს ისეთს, რაც ოდნავ მაინც მეუბნებოდეს: შევნიერება ჩემი მიზანიაო. ან რა არის თვით შევნიერება? ამის რიგიან პასუხს ვერც ერთი მკვლევარი ვერ მოგცემსო.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)


მსოფლიო გამოფენა პარიჟში

(ერთი თვალის გადავლებით).

(^{*)}შემდეგი*)

მროკადროდან რომ მარსის მოედანზე გადავიდეთ უნდა გავიაროთ იენოს ხიდი ეიფელის კოშკის პირდაპირ. იქვე ხიდის ყურში ორი პავილიონია. ერთში გამოფენილია ხე-ტყის წარმოება, ნადრობა, მეთევზეობა; მეორეში—კომერციული ნაოსნობა, ზღვაზე მიმოსვლის საშუალებანი, ატლანტიის ოკეანეს, მესაჭერის გამზანიების ძველი და ახალი გემების მოდელები და სხ. ამგვარები; მარა პირველ მისვლაზე არც ერთ ამ პავილიონში შესვლას თქვენ არ მოინდომებთ, რადგან წინ ერთობ თვალ-წარმტაცი სურათი გაქვსთ. ერთ წუთას შეეჩერდეთ ამ რკინისაგან მოქსოვილ კოშკის ქვეშ. ეს თუმცა 300 მეტრის სიმაღლეზეა ცაში ატყორცნილი და მაზე ხალხით გაქედლი ვაგონები არბი-ჩარბიან, ყველა სართულზედაც გამართულია რესტორანები, გამოფენის სახსოვრების სავაჭრო კიოსკები და სხვა, მარა კოშკ ქვეშ დგომა მაინც უშიშარია. ადგილიც ბლომით არის, დაეტევა რამდენიმეათასი სული. კოშკიდანვე დაწყებული ორივე მხარეზე გრძლათ მიემართება შენობები მორთული ბარელიეფებით და სიმბოლიური ფიგურებით. შენობათა შორის დატოვებული ადგილი, თუ ეზო დაყოფილია ხეავნებათ, აქა-იქ დგას ძვირფასი ტროპიკული მცენარეები, ხეებ შორის ბიბინებს მწვანე, ათასგვარი, მრავალფერი ყვავილებით მოქარგული ზოლები. პირდაპირ მოჩანს ელექტრონის საუცხოვო სასახლე. მის მწვერვალზე შემდგარია პროგრესის ცეცხლით გარემოცული ელექტრონის ღმერთი, რომლის ეტლს მოაქანებენ ფრთოსანი რაშები. სასახლის წინა მხარეს ცალკე სანახაობა აქვს და ცალკე სახელიც ჰქვია „წყლის კოშკი“. კოშკის სიღრმეში გაკეთებულია გამოქვაბული, საიდანაც გადმოჰქექვს წყლის ვეებერთელა ნაკადული. იგი ჩამორბის რამდენსამე ტერრასაზე და უერთდება დიდ აუზს. ტერრასები და აუზები მოფენილია მრავალი შადრევნებით. ზოგან რამდენიმე

შადრევანი ერთათ არის შეჯგუფული და წარმოადგენს აქაფებულ წყლის თაიგულებს. აუზების გარშემო შემომწყრივებული ბაყაყები და სხვა ცხოველები პირიდან წყალს ისვრიან. გამოქვაბულის გარშემო თალი თუ მისი პიედესტალი შემკულია ალღეგორიული ფიგურებით. ერთი ჯგუფის აზრი ასეთია: პროგრესს კაცობრიობა მიჰყავს მომავლსაკენ და წინ გადაღობილ კონსერვატიულ ძალას ანუ რუტინას ფეხით სრესს და წყალში ისვრის. ღამით ელექტრონის სასახლე განათებულია მრავალი ელექტრონული ღამპებით, ასევე განათებულია ყველა გარ-შემორტყმული სასახლე-



სამხრეთ ამერიკის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.

ები ეიფელის კოშკითურთ. ელექტრონის წვრილი ღამპრებია ჩაკიდებული თვით აუზში. ხოლო თვით „წყლის კოშკი“ ისე ენთება და ბრიალებს, რომ გგონია ერთიანათ ცეცხლისაგან არის მოქსოვილიო ამასთანავე მისი სინათლე წამდაუწუმ იცვლება. თეთრი, წითელი, ლურჯი, ყვითელი ფერები სწრაფათ ცვლიან ერთი მეორეს, იცვლება აგრეთვე შადრევნების წყლის ელფერი. მაილა, სასახლის მწვერვალზე, ელექტრონის ღმერთას დიდი სხივი აქვს მიმდგარი ეიფელის კოშკის „მაიაკიდან“. ღმერთას ორივე მხარეზე უნათებს თითო ბრწყინვალე „მნათობი“, მის გვერდით ჰკრთის და ციმციმებს პატარა „ვარსკვლავი“, სასახ-


*) ჟ. „კვალი“ № 30.



ლებიდან ისმის მუსიკა. მიდამო გაქედლილია ხალხით. ყველა მოჯადოებული შეცქერის ამ სანახაობას, სანახაობა კი მართლაც რომ მომჯადოვებელ-მომხიბლველია. წყლის კოშკის განათება, განსაკუთრებით, რაღაც საზღაპრო, ფანტასტიურ სურათს წარმოადგენს. ევროპიელის სიტყვით კი ეს ელექტრონის აპოთეოზია.

„წყლის კოშკის“ შადრვენებიდან ამოღრილი წყალი ეგზავნება მათ ქარხანას, რომლის ორი ბუხარი, მაღალ და ღამაზ ბურჯებით ამართული, მოჩანს ელექტრონის სასახლის გადასწვრივ. ქარ-

ზე დაკიდებულია 32 ზარი სხვა-და-სხვა სიღღებში (10 გირვანქიანიდან 50 ფუთიანამდე), ზარის მრეცხვი მანდილოსანია. სამრეკლო მოთავსებულია შუა სართულის პაწია ოთახში. წინ უდგას ფისგარმონი და როცა თითებს კლავიშებზე აათამაშებს — ნოტების მიხედვით — მაღლა ზარები ირეკება. (ზარის ენები მავთულებით კლავიშებთან არის შეერთებული) ს რაკი გაიგეთ, რომ ზარების რეკა, მხოლოდ ზარების გამოფენას ნიშნავდა, თქვენ, რასაკვირველია, პირჯვარი აღარ დაგიწერიათ და შეხვედით პირდაპირ სასახლეში. ჯერ გინდათ ერთბაშით გაიაროთ



სეიმის შენობა ქალაქ ლასინგფორისას მსოფლიო გამოფენაზე.

ხნები საააში ხარჯავენ ორთქლის მისაღებათ 100 ათასამდე კოკა წყალს და ამზადებენ მეხანიკურ ძალას, უკანასკნელი უდრის 20 ათასამდე ცხენის ღონეს; აქედან 15 ათასი იხარჯება განათებაზე და 5 ათასი სხვა-და-სხვა მაშინების ასამოძრავებლათ. მეხანიკური ძალა ეგზავნება გამოფენას მარსის მოედან ქვეშ, მიწაში ბადესავით გაქსელული მილებით.

მიუხაზლოვდებით თუ არა მარსის მოედნის სასახლეებს, განუწყვეტლათ გვესმის ზარების რეკა. თითქოს ამით გვაუწყებდნენ, სასახლეებში გამოფენილი საგნების სიდიადეს; თითქოს წინდაწინვე გვამცნებდნენ, რომ აქ წარმოდგენილია თანამედროვე საზოგადოების დიდება და სიამაყე, მისი ნივთიერი მეხანიზმი, მ-სი ტექნიკა. ნამდვილათ კი, ზარების მრეკავი ცდილობს მნახველთა ყურადღება მიაქციოს თვით ზარებზე. მაღალ სამრეკლოს წვერ-

მთელი შენობა, გაიგოთ გამოფენის საერთო ხასიათი, რომ მერე გულდასმით შეუდგეთ მის დეტალიზაციას, მარა აი გაიარეთ ერთი გაღვრვია, მეორე, მესამე, მეოთხე და სხ, ახვედით ზვეითა სართულში, ჩამოხვედით, კიდევ ახვედით (ეს არ არის ძნელი, რადგან საკმაოა შედგეთ კიბეზე, რომ მან თავის-თავით აგიტაცოთ და აგაცუროთ ზვეითა სართულში), კვლავ ჩამოხვედით, ფიქრობთ ახლა მაინც გავედი ბოლოშიო, მარა ამის ნაცვლათ გაჩნდით ერთ უშველებელ, რეკალ დარბაზში, იმის წარმოუდგენელ სიდიდესთან თქვენი თავი ლილიბუტათ გეჩვენებათ. დარბაზის თალი ზევით 1700 მეტრის სივრცეზე გადახურულია შუშით. კედლები თუ თალი მორთულია მრავალი სურათებით. სიმბოლიურათ წარმოდგენილია წელიწადის 4 დრო: მეურნეობა, ბაღოსნობა და სხვა-

და-სხვა მრეწველობა. დარბაზს გარს უვლის 16 არკა 45 მეტრი სიმაღლისა. არკებ შუა ამფითეატრებია; სულ ეტევა 40 ათასამდე ადამიანი. ეს დარბაზი სადღესასწაულო ზალაა. აქ იმართება ხოლმე გამოფენის ოფიციალური დღესასწაულები. ესწრებიან: პრეზიდენტი, მინისტრები, დიპლომატები, კონსულები და სხვა რჩეულნი ამა სოფლისა თავიანთი სტუმრებით. (აქაურ რჩეულთა სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მათ კრებასა და დღესასწაულზე უბრალო მომაკვდავსაც შეუძლია დაესწროს). დღესასწაულის პროგრამაა: მარსელიეზა და სხვა სადღესასწაულო მარშები, სიტყვები, მუსიკა, სიმღერა, ხან ლექსები და სცენებიც. ორატორები ქება-დიდებით იხსენიებენ ხოლმე ადამიანის შრომას, რომლის ძლიერებას და ნაყოფიერებას დღეს განცვიფრებაში მოჰყავს მთელი ქვეყანა. მარა დღესასწაულებზე იმას კი აღარ ამბობენ არის თუ არა ასეთივე სანაქებო შრომის თვით საზოგადოებრივი პირობები; მხოლოდ ცნობილი მინისტრი მილგრანი არ იშლის თავისას. მან ერთ უკანასკნელ დღესასწაულზე შესძახა: რის მაქნისი იქნებოდა სხვა-და-სხვა აღმოჩენანი, ტენიკის გაუმჯობესობანი, შრომის განაყოფიერება, რომ მათი მეოხებით არ შეიძლებოდა აღიანი მდგომარეობის გაუმჯობესობა?., ცივილიზაციისა და პროგრესის საზომი მუშათა მდგომარეობის ავ-კარგიანობააო.

ლ. დ.

(შემდეგი იქნება)

„შრომის“ ხელოსანთა ამხანაგობის მდგომარეობა.

მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, რომ ეს ორი წელიწადი თვალისში დაარსდა ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა“. სამწუხაროთ ჩვენდა, დასრულებულად, როგორც საზოგადოთ ჩვენში, სადაც დაარსდება ხოლმე საზოგადო საქმე და თან დაჭეუება არა სისამოვნო ათას გვარი, არა ჩვეულებრივი უსამოვნობა, გაძევრობა და შენ ჩემობა, ჩვენმა ამხანაგობამ უფრო დიდათ ისახელა და იზინა თავი, განსაკუთრებით გამგებობის მხრივ.

იმავ თავითვე ამხანაგობამ ამოიჩინა გამგებობა და მათ შორის უფროსი წარმომადგენელი, რომელთა განკარგულებით მუდამ კვირა გამგებობის ცვლა და არჩევნები ხდებოდა და აგრეთვე მომუშავეთა დათხოვნა და შიღობა, თუმცა წესდების ძალით გამგებობას უსაზოგადო კრებოთ, წევრის დათხოვნის და მიღების ნება არა აქვს, მაგ. რამ საზოგადო კრებას ვინდა ჰქვითხვს. დღევანდელმა გამგებობამ უფრო აშკარათ გადაუხვია წესდებს, რის გამო

დღეს ამხანაგობის სახელსწაო და მოქმედება უკან იწვეს და წევრთაც გული უტედათ. ან რადა გული უნდა ქონდეს წევრს, როდესაც თავისი წვლილით განსხილ სახელსწაოში მუშაობის და ფეხის შედგმის ნებას არ აძლევს გამგებობა:—მე ნებას არ მოგცემ აქ შემოსულისას დაღა-ზარაკისას; მხოლოდ გამგებობა უნდა შევიკრიბოთ და როგორც გვსურს საქმეც ჩვენ ნებაზე უნდა მოვაწყოთ. წესდების თანხმით, წელიწადში ორჯელ ანგარიში გამგებობამ საზოგადო კრებას უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლათ, ესე იგი 1 ანგარს და 1 თიბათვეს, ასე რომ ვადა იუო საზოგადო კრებისა წარსულ თიბათვეში ანგარიშისთვის, მაგრამ დღესაც არსად ჩანს და არცა ვიცით ამხანაგობის მდგომარეობისა. ამასთან გამგებობამ გვიპასუხა: ჩვენ ანგარიშები კიდევ გავათავეთ, ქარხანაში კედელზე იუო გაკრული და თუ გინდოდათ წავიკითხავდით და გაიკებდითო.


ეს ახალ მოდის ანგარიში, საზოგადოებამ არ იცნო კანონიერათ და ითხოვა კანონიერი კრება.

მაშინ გამგებობა დაგვიბრდა 30 ივლისისთვის დაგნიშნავთ კრებასო.

ჩვენც დანიშნულებისამებრ 30 ივლისს შევიკრიბეთ. დიდ ღოდინს შემდეგ 10—15 წევრმა მიმართეს გამგებობას და მოახსენეს; კრება თუ არ იქნება რაღას გვალოდინებთ, ან გვითხარით: როდის დანიშნავთ, რომ ტუიღუბრალათ აქ ადარ კელოდოდო. ამ დროს წამოდგა ერთი გამგებობის წევრთაგანი და გვიპასუხა: ჩვენ ანგარიშისთვის კრებას ადარ ვნიშნავთ, რადგან ზოგიერთი წევრები აქ არ არიან, მეორეც ესა რევიზიის წევრები გვარკოვლებენ თორემ ჩვენ ანგარიშები მზათა გვაქსო.

აქვე რევიზიის წევრმა უპასუხა: ჩვენი მხრივ არაფერი დაბრკოლება არა გაქვსთ თქვენ გამოაცხადეთ გახეთში და მოიწიეთ საზოგადოება; ეს თითქმის ორ კვირას გაატანს და ამ დრომდის რევიზიაც თავის საქმეს დაასრულებს, თუ რამ აკლიაო.

აქ მოფოთაც ერთ ხმათ თხოვეს გამგებობას, რომ დანიშნავთ კრება მით უმეტეს, რომ აკერ ეს ორი საში თვე იქნება რაც სამინისტროსაგან დამტკიცებული წესდება მოგვივიდა და გამგებობას ჩაუკეტნია ცხრა კლიტუაში, არავის აჩვენებს. საზოგადოება კი თხოულობს გვანგენეთ, რომ ზოგს ზაი გვაკლია შევისრულოთო; ამასვედრ გამგებობამ უარი გამოგვიცხნა და ასე გვიპასუხა: სამინისტროდან დამტკიცებულ წესდებაში ზოგი ერთი მუხლები ან უნდა ფთხოვოთ რომ სამინისტრომ შეცვალოს და ან ჩვენ შევიმუშაოთ და როცა ჩვენ მოვიწიებოთ მაშინ საზოგადოებასაც ვაჩვენებთ რაც შეხება კრებას, იანვარზე ადრე არ დავნიშნავთ, ჩვენი ნება ასეა და ადარც დაზარაკის ნებას მოგცემთ, კადით გარეთ და რამდენიც გინდათ იღაზარაკეთ, აქ დუქანი ხომ არ არის, ჩვენ შირად დაზარაკს არ მივიდებთ და თხრონით მოგვმართეთო. 31 ივლისის წესდების 16 § თანხმით მივ-



მართეთ, მაგრამ აქაც უფრო სასტიკი ზასუხი მივიღეთ გამგეობისგან ამ სიტუაციაში:

„არც კრებს დაწინააღმდეგობას, არც ანგარიშებს და არც წესდებს განხილვებში, წადით და სადაც გინდათ გვიჩვენეთ. ახლა მხოლოდ ისაა დაგვიჩვენა, რომ საქვეყნო გამოგონებებით ჩვენი გამგეობის საქმიანობა, მისი თვითნებობა და ასეთი ჩვენი მდგომარეობა“.

ერთი წვერთაგანი მიხედავ ჩოლოშვილი.

ქვის მტეხელი

(რუსულიდან)



მ... ეს კაკუნი, ეს ხმაურობა, ეს ყვირილი ქუჩაში, სწორედ ჩემი სარკმლის წინ, ყოველ ფიქრებს მიფანტავს, ერთ წუთს მოსვენებას არ მძლევს,

სამუშაოს მაწყვეტინებს!.. ვერსად ვერ წავსულვარ, ვერსად ვერ დავმალავარ ამ განუწყვეტელ ხმაურობას. იგი დი-

ლიდან საღამომდე არ შეწყდება, ხოლო, როდესაც დღიურ სიცხისაგან ტანჯულო-დაღალული დასაძინებლათ დავწევები, ძილშიაც კი გარკვევით ვგრძნობ მას. მერე, აბა იფიქრეთ, მთელი ორი თვეა ასე ვატარებ დღი... მას შემდეგ, რაც ჩემ სარკმლის წინ დაიწყეს ეს უბედური ქვის შენობა, მას შემდეგ — მე ერთი ტრიქონიც არ დამიწერია; კაკუნი და ხმაურობა — ჯემ ყურებს მუდამ ესმოდათ. რადგანაც შეუძლებელია, რომ მე რამე საქმე გავაკეთო, დავჯდები ხოლმე სარკმელთან და სხვის მუშაობას ვუცქერი. აღვსება მალე გამივლის ხოლმე, როდესაც დავინახავ რამდენიმე ათეულ კაცის მუშაობას, სირბილს, მოძრაობას, თითქოს ჭიანჭველათა გროვა დაფუსფუსებს ამ ვიწრო ადგილას. მე დავმშვიდდები ხოლმე, როდესაც შევხედავ, რომ ამ უთვალავ ხალხის ხელთაგან უშველებელი შენობა იზრდება, მისი კედლები მალამალა მიდიან, ვეებერთელა ხის ყუთებში ჩაყრილ დამწვარ კირს შიშინი გაუდის, ქვის მტეხელები აგურსა თლიან, ქალები თაბახებით სცემენ ცხილებიან, როგორც თანაშემწენი: ზოგიერთი წელში მოკაკულნი, ხის საზიდავებით მალა მიათრევენ აგურს და მხრებზე დიდი ტვირთი აწევთ. ამ ხალხის ყოველ დღიური აუტანელი მუშაობა ჩემ წინ, ღრუბელსავით გადაივლის ხოლმე და, ვისმენ რა მათ ყვირილს, ოხუნჯობას და ლაპარაკს, თავდავწყებაში შევდივარ. ასე განუწყვეტლივ მისდევს

საათი საათს, დღე დღეს. მარტო ზედა-მხედველები ამ მუშებისა გამომარკვევენ ხოლმე უსაზღვრო წყვდიადიდან თვისი ყვირილით, გინებით და ბრძანებებით. ზედამხედველი ორია, მარა იგინი ყველგან ჩანან, ყველგან ისმის მათი ბრძანების კილო, საითკენაც კი უნდა გაიაროს რომელიმე მათგანმა, ყველა მუშები თავ-ჩაქინდრული დუმდებიან, მათ ვერაფრით ვერ ასიაზღვრებ, ვერაფერს ვერ მოაწონებ, ყველაფერზე მზათა აქვთ ლანძღვა, მზათა აქვთ გულ-მოსულობით გამოწვეული საგინებელი სიტყვა... უკეთუ რომელიმე მუშა თავისი პირადი ღირსების დასაცავათ ნებას მისცემს თავს ხმა ამოიღოს, მაშინვე ბატონ ზედამხედველს თვალები სისხლით ევსება, პირიდან ქაფსა ჰყრის და, ვაი დამნაშავეს ბრალი!.. კიდევ კარგია, თუ მას ცოტა მაინც აღროვეს და იმ წუთშივე არ გააგდეს სამუშაოდან. ზედა-მხედველები სრული ბატონები არიან მუშებისა, მათი უფლება მუშებზე განუსაზღვრელია; ერთი რომ გააგდონ, იმ საათშივე ოთხს სამაგიეროს იშოვიან, რომლებიც თითონვე ითხოვენ გაგდებულის ადგილს. აწინდელი ზაფხული ზედამხედველთათვის მეტათ შემოსავლიანია! რომელიც გსურს ამოიჩიე და სამუშაო ქირიდან რამდენიც გინდა გამოურიცხე — მუშები არაფერს გეტყვიან. და თუ რომელიმე მათგანმა იჩივლა „არხიტექტორთან“ — შორს, მოკვდეს — სიმშლით, უკეთუ არ სურდა ყოფილიყო ქედ-მოხრილი!


ერთხელ, როდესაც მე ჩვეულებრივ სარკმელთან ვიჯექი და ვუცქეროდი მუშაობას, უეცრათ წინა კედელზე ყვირილი შეიქნა. ყვირილის მიზეზი მე არ დამინახავს, ხოლო მესმოდა, როგორ მისჭროლა ზედამხედველი ერთ შუა ხნის, მაღალ, შრომისგან წელში მოხრილ ქვის მტეხელს და ლანძღავდა უწმაწური სიტყვებით. ის კი არას ეუბნებოდა: დახრილიყო და განაგრძობდა მუშაობას. მუშის ამგვარმა უყურადღებობამ და სიჩუმემ უფრო გააბრაზა ზედამხედველი.

— შენ, ბოროტო, შიშველო, ემ საათში მოშორდი სამუშაოს?..

გაბრაზებული ყვიროდა ზედამხედველი და თან უახლოვდებოდა მუშას.

მე დავინახე თავდახრილი ქვის მტეხელის სახე როგორ წითლდებოდა, თითქოს სიცხეს უმატებოდა. საბრალო სიბრაზით კბილებს აკრაქუნებდა, მარა მაინც დუმდა.

— ასჯერ უნდა გითხრა, შე ჩამოსახრიბო, ავაზაკო, ჰაა?!. შორს აქედან!.. ამ საათში დაიკარგე, თორემ ვუბრძანებ გადაგაგდონ!.. მუშას ეტყობოდა საშინელი ბრძოლა ხდებოდა მასში; სახე სულ ერთიანათ გალურჯებოდა; ბოლოს მან



თავი მალლა აიღო და გამოუთქმელი ზიზლით წაიბუტბუტა; „გლენი-გლენათ დარჩება: ღმერთო, ნუ მისცემ გლენს ბატონობასო!“ ზედამხედველი ამ სიტყვების გაგონებაზე თითქოს გაქვავდა, ეტყობოდა მას ქვის მტეხელის სიტყვები შიგ გულში მოხვედნ; თითონ იგი გლენთაგანი იყო და ახლა, შეიქნა რა „ბატონი ზედამხედველი“, ძალიან რცხვენოდა თავისი ჩამომავლობისა. ერთ წუთს შემდეგ კი იგი გონს მოვიდა და შეჰყვირა:—ეგრე?! მაშ მადგეებსაც ამბობ ჩემზე?! მოიცა, მე შენ გაჩვენებ!.. მე შენ გასწავლი!.. დაიკარგე!..

მუშა არ იძროდა ადგილიდან, ის წველში მოხრილი განაგრძობდა მუშაობას.

— დაიკარგე, ავაზაკო!.. თორემ პოლიციელს დავუძახებ!.. მუშა მაინც განაგრძობდა აგურზე ჩაქურჩის ცემას. ზედამხედველი მივარდა, გამოსტაცა ხელიდან ჩაქურჩი და ქურჩაში გადაუგდო.

გულ მოსული ქვის მტეხელი კბილების კრაქუნით წველში გაიმართა.

— ქამო,—დაიყვირა მან—რას ჩამციებიხარ?.. რა გინდა ჩემგან?..

— აა!.. კიდევ მემუქრები?! წამოიყვირა ზედამხედველმა, —დარაჯო!.. დარაჯო!.. ავაზაკი!..

ამ ყვირილზე მეორე ზედამხედველმა მოიბრინა და ორივენი შეერთებული ძალით მიცვიდნ ქვის მტეხელს. იგი არ ეწინააღმდეგებოდა. მის ბექებზე მუშტებმა თქათა-თქუთა დაიწყეს. მეტის მეტათ აღელვებული და სიბრაზისგან ენა ჩავარდნილი ჩამოვიდა საბრალო მუშა ხარაჩოებიდან. დანარჩენი მუშები—მოწმეები ამ სცენისა—სიბრაზით მხოლოდ კბილებს აკრაქუნებდნ და თავ ჩაქინდრული მუშაობდნ. არც ერთ მათგანს სიტყვა არ უთქვამს.

— გლენი მუდამ გლენათ დარჩება!..—წამოიძახა უკვე ქურჩაში მყოფმა ქვის მტეხელმა, მის სახეზე ერთხელ კიდევ გამოიხატა ნაძალადევი ღიმილი, ხოლო თვალთაგან გადმონადენმა ცრემლებმა მზეზე ლაპლაპი დაიწყეს.

— მომშორდი აქედან, ავაზაკო!..—კედლიდან ჩასძახა ზედამხედველმა და მუშტით დაემუქრა.

მეორე დღეს დილა ადრიან ავდექ და სარკმელში გავიხედე. ქურჩაში ჯერ კიდევ სიჩუმე იყო. მუშები სამუშაოზე იკრიბებოდნ, მე ძალიან გავკვირდი, როდესაც გუშინდელი გაგდებული მუშა დავინახე. ცნობის-მოყვარობით ვიცქირებოდი, რომ გამეგო, რა მოხდებოდა, როდესაც ზედამხედველი მოვიდოდა. მუშები ცოტას ლაპარაკობდნ, ხოლო გაგდებულთან კი არავინ მიდიოდა; იგი იდგა ღობის მახლობლათ.

მალე მოვიდა ზედამხედველიც, რომელიც მკედლის საბერველივით ქმინავდა,—მან სწრაფთ გადაავლო თვალი მუშებს და განრისხებული მიაჩერდა გაგდებულ ქვის მტეხელს.

— ააჰ!.. შენ, ავაზაკო, ისევ აქ ხარ?.. რა გინდა აქ?.. ვინ დაგიბარა?..

— ბატონო ზედამხედველო, —დაილაპარაკა მუშამ და ორი ნაბიჯი გადადგა, — ბატონო ზედამხედველო, მომიტევეთ!.. რა დამნაშავე ვარ?.. რათ მიკარგავთ ლუკმა პურს?.. თქვენ ხომ იცით, მე ვხლა სამუშაოს ვერსად ვიშოვი, სახლში კი...

— დაიკარგე შე, მახინჯო!—დაიღრიალა ზედამხედველმა, რომელსაც დღეს ისევე არ ესიამოვნა მუშის მორჩილება-თავმდაბლობა, როგორც გუშინ მისივე უკმეხი სიჩუმე.

ქვის მტეხელმა თავი ჩაქინდრა, გუდა ილლიაში ამოიჩარა და გაუდგა გზას.


მთელი ორი კვირის განმავლობაში ყოველ დილით ამ სცენას ვხედავდი, ეტყობოდა, გაგდებულმა ქვის მტეხელმა ვერსად იშოვა სამუშაო და ყოველ დილით მოდიოდა ზედამხედველთან სათხოვნელათ, რომ ისევ მიეღო იგი. ვერა გვარმა თხოვნა მუდარამ ვერ მოალობო ზედამხედველი და რამდენათაც მის წინ ქვის მტეხელი თავს იმდაბლებდა, რამდენათაც უღრმავდებოდა მას მიმქრილი თვალები, იმდენათ უფრო იბერებოდა „ბატონი“ მუშის წინ, იმდენათ უფრო უსიამოვნო და საზიზლარი სიტყვებით ლანძღავდა ის საცოდავ მუშას...

ეს უბედური კი ნამეტანი სიბრაზისგან კბილების კრაქუნით ამოიჩრიდა ილლიაში თავის გუდას და ისე წავიდოდა, რომ უკან აღარც კი მოიხედავდა ხოლმე, თითქო ეშინოდა საშინელი რამ არ შემთხვეოდა.

შაბათი საღამო იყო. მოულოდნელმა წვიმამ შიგ შუა ქურჩაში მომასწრო და იძულებული შევიქნე მახლობელ ლუდ-ხანაში თავი შემეფარებინა. შიგ არავინ იყო; უსუფთაო, ნოტიო ოთახი ოდნავ იყო განათებული ერთი ლამპით, რომელიც ჭერში იყო ჩამოკიდებული და ნელ-ნელ ქანაობდა, დახლთან სქელი ებრაელის ქალი თვლემდა. მივიხედ-მოვიხედე აქეთ-იქით და—ოჰ, საკვირველებავ!—ერთ მაგიდასთან დავინახე ნაცნობი ქვის მტეხელი, რომელიც გვერდით მოჯდომოდა თავის მტერ ზედამხედველს.

მათ წინ ედგათ ორი ბოთლი ნახევრამდე ლუდით.

— ღმერთმა კეთილი მოგცეს, ნათლიავ!—



უთხრა ქვის-მტეხელმა ზედამხედველს და ქიქა ქიქას მიუჯახუნა.

— თქვენც მოგცეთ ღმერთმა კეთილი! მიუგო ზედამხედველმა, ცოტა არ იყოს უფრო მოწყალე კილოთი, ვიდრე ქუჩაში მუშაობის დროს.

მე ცნობის-მოყვარეობა გამიღვიძა ამ უცნაურმა მეგობრობამ.

ვუბრძანე ჩემთვისაც მოეტანათ ერთი ბოთლი ლუდი და მივჯექი ოთახის ერთ კუთხეში.

— ჰოო - და რა არის, ნათლიავ, — ძალდატანებით ელაპარაკებოდა ქვის მტეხელი, — კარგი არ არის შენ რომ ვგრე ჩემ წინააღმდეგ ამხედრდი, სწორეთ კარგი არ არის!.. ღმერთი გაჯავრდება, — ამას შემდეგ მან კიდევ ორი ბოთლი ლუდი მოითხოვა.

— შენ ხომ იცი, რა მოთხოვნილება მაქვს მე ოჯახში!.. ამაზე ლაპარაკი არ ღირს!.. ცოლი ავით მყავს, მუშაობა არ შეუძლიან, მე კი შენი წყალობით აგერ ერთი კვირა გადის ერთი გროში არ მიშოვნია!.. მარტო მე რომ ვყოფილვყავ, როგორც იქნებოდა მოვითმენდი, მარა ავითყოფი ცოლი და პატარა ბაღლები, რომლებიც ძლივს დაცოცავენ, პურს ითხოვენ!.. გული მიკვნესის, დაიჯვრე!.. მე ხომ მამა ვარ მათი!..

ზედამხედველი ისმენდა ამ სიტყვებს, თავი ჩაქეინდრა და თითქო თვლემსო, ისე აქანავებდა. ხოლო როდესაც ებრაელის ქალმა ლუდი მოიტანა, მან პირველმა აიღო ქიქა, მიურტყა ქვის მტეხელს ქიქაზე და წარმოთქვა:

— შენი ცოლის სადღეგრძელო იყოს!..

— უფალსა ვთხოვ, რომ შენც ჯან-მთელათ ყოფილიყო! — წაიბუტბუტა ქვის მტეხელმა და ქიქიდან ცოტა მოსვა. სახეზე ეტყობოდა, რომ უნებურათ ენებოდენ მისი ტუჩები სასმელს. იქნებ მან ამ სასმელში უკანასკნელი გროში მისცა იმ გულდენიდან, რომელიც ოთხი დღის წინეთ ისესხა და რომლითაც უნდა გამოეკვება თავისი უბედური ოჯახი საუკეთესო შემთხვევამდის, რადგანაც, ღმერთმა უწყოდა, მეორეს ასესხებდენ კიდევ თუ არა!.. და აი მან უკანასკნელი გროშით გადაწყვიტა დაეპატიჟა თავისი მტერი, რომ იქნება ცოტა მაინც მოეღობო იგი.

— რას ფიქრობ შენ, ჩემო საყვარელო ნათლიავ?.. რა დამიშავებია მე შენთვის?.. უსიამოვნო სიტყვა რა გითხარი?.. შენ უფრო რამდენი მითხარი?.. ჭეშმარიტათ, ნათლიავ, კარგი არ არის საწყალი კაცის შეურაცყოფა.

ზედამხედველმა, დალია რა ლუდი, თავი მსვენდა დახარა.

— ჰო, კარგი, — მოკრძალებით დაილაპარაკა ქვის მტეხელმა, — იყავ მოწყალე, ორშაბათს.. იმ.. განა მართლა უნდა დაიღუბოს საწყალი კაცი ცოლ-შვილით-ულუქმაპუროთ?..

— რა?.. უბრძანებ კიდევ ერთი ბოთლი ლუდიც მოიტანონ? გააწყვეტინა მას სიტყვა ზედამხედველმა.

— ოჰ, უეჭველათ, უეჭველათ!.. ეი!.. ერთი ბოთლი ლუდი კიდევ მოიტა!.. ებრაელის ქალმა მოიტანა ლუდი. ზედამხედველმა იგიც დალია და ტუჩები მოიწმინდა.

— აბა, მიიხარო, შენი ქირიმე, როგორ იქნება ჩემი საქმე?.. მღელვარებით ჰკითხავდა ქვის მტეხელი და თან სახეზე შეცქეროდა.

— ჰა!.. როგორ იქნება?.. — სთქვა ზედამხედველმა ცივათ, ადგა და წასასვლელათ მოემზადა.

— მადლობელი ვარ ლუდისთვის, სამუშაოზე კი საქირო არ არის რომ ორშაბათს მოხვიდე, — მე უკვე მეორე მივიღე და საზოგადოთ (ეს სიტყვები მან კარებთან წაილაპარაკა), იმისთანა ავაზაკები, იმისთანა დასახრჩობები, როგორც შენ, მე არ მსურს!..

ერთი გადახტომით გადმოვარდა ზედამხედველი ქუჩაში და გამოაჯახუნა კარები. უბედური ქვის მტეხელი კი ამ სიტყვებმა მეხვიით გაჰმირეს.

დიდხანს იდგა იგი უძრავათ და არ იცოდა, რა ეფიქრა. მერე გონს მოვიდა. რაღაც ველურმა აზრმა გაუეღვა მას თავში. ერთი ხელით ეცა მაგიდას, რომელზედაც იჯდა, მოსტეხა ფეხი და მოუღერა დაზგას. წიოკობა, ხმაურობა ებრაელის ქალისა, ჩოჩქოლი შეკრებილი ხალხისა, ყვირილი პოლიციელისა — სულ ეს შეერთდა რაღაც ველურ დამაყრუებელ ჰარმონიათ. წუთიც — და უბედურმა ქვის მტეხელმა იგრძნო თავი ღრიალა და მოწრიბინე ურიათა ბრბოს შორის, რომელთაც ძალდატანებით გადასცეს პოლიციელს „ცოფიანი ავაზაკი“. მრისხანე დარაჯმა საზოგადოებრივი სიმშვიდისამ სტაცა მას მხრებში ხელი და ქისტის კერათ წინ წაიგდო. პოლიციელის გვერდით მილახლახებდა შიშისგან ცოცხალ-მკვდარი ებრაელის ქალი, რომელმაც თავის მაგივრათ ლუდ-ხანაში სხვა დატოვა, ხოლო ერთათ ჩოჩქოლით და ხმაურობით მთელი ბრბო ურიათა და ათასჯურა ქუჩის სალახანათა მიაწყდა პოლიციას.

ვანო გიუნაშვილი.

წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნ რედაქტორი! უმარხილესათ გოსრვთ ნება გვიბოძეთ, რომ თქვენი პატრივტიკული ჟურნალ „კვალის“ საშუალებით პასუხი გავრცე ბ-ნ ოდიშელს (ფსევდონიმი). „ივერია“ № 162.

დაბა ახალ-სენაკიდან ერთი წერილი გამგებზავნე, რომელშიაც ვამხილებდი ახალ-სენაკელ მკვიდრთა რათა მათ ეზრუნათ დაბის კეთილდღეობისთვის და რომელიც „კვალის“ მე-27 №-ში დაიბეჭდა. უველა გონება განვითარებულე მკითხველი ადვილათ დამეთანხმება, რომ ასეთი ჩემი საქციელი ღანძღვა-გინებათ კი არა, როგორც ბ. ოდიშელი ბრძანებს, არამედ ზნეობრივ მოვალეობის აღსრულებათ ჩამეთვლება. სწორეთ ამან მაძიულა, რომ ზოგიერთ სენაკელთა წინააღმდეგ, საქვეყნოთ გამემუდგანებინა ახალ-სენაკის ჯერ-ჯერობით უკან ჩამორჩენა. მე ვამბობდი: გარემოება დაბას ხელს უწყობს წინ სვლისას, მარა მკვიდრნი სუსტათ არიან; მათ 7 წელზე მეტია საქალაქო ეკლესიის სძირველი ჩაჭარეს და ჯერ კიდელი ვერ აუგიათ, სამკითხველო წიგნთ-საცავს არ აარსებენ, ქუჩები მოკირწყლული არა აქვთ, საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღებას შორს გაურბიან და სხვა და სხვანი. თუმცა არც ერთი სიმართლეს მოკლებული არ იყო, მარა ბ. ოდიშელმა მაინც გამოილაშქრა „ივერიის“ 162 №-ში. უფრო კი ბ. თ-ძის წინააღმდეგ, რადგანაც ამ უკანასკნელს ქველ-მოქმედებათ ჩაუთვალე თავის წიგნის მალაზიაში შინაური სამკითხველს დაარსება და ბ. ოდიშელს იქვე შენიშვნა მივეცი, რომ მას ჟამსა შინა არსებულ სამკითხველს ანგარიშს თხოვლობს და აწ დაარსებაზე თავსაც არ იწუხებს მეთქი. ბ-ნი ოდიშელი ამით ძლიერ გაწინამტებულა და გაიძახის, ვითომ მე მთელი დაბა და მისი მცხოვრებლები მიწასთან გამესწორებინოს. „ეს უველათერი კ. თ-ძის ჩვეულებრივი კრიმინალური სრიაკება, ისინი. შ-ძე, ეტყობა, მისი ვუქილია და სხვა“. ამბობს იგი და გამოგვავს, თითქო მე ჩემი რწმენა არ მქონდა და ბ. თ-ძისგან ვუთხოვდი მოყიდული. ეს არაფერი საკადრისია ბ. ოდიშელისათვის, ნება ჭქონდა ეთქვა და დაემტკიცებინა, რომ მე ვცდებოდი, მარა არა ის, რომ მე სხვის მაგიერ ვლანარაკობდი. ბ-ნ ოდიშელს საზოგადოთ ჩემი ნათქვამის დასარღვევი ვერაფერი უთქვამს გარდა ამ ერთი ცილის წამებისა. იგი კიდევაც თავის შენიშვნას თავისივე სიტყვით ძირს უთხრის და საფუძველს უკარავს. ჩვენ იმას არ გამოვუდგებითო, ამბობს იგი, მართალია, თუ არა ისინი, შ-ძეო. საკვირველია! თუ არ ამან, რამ აძიულა ესეთი ინსინუაციები დაუწერა ჩემ წინააღმდეგ. თავს რომ იმართლებს, ანგარიშს იმიტომ ვითხოვდი, რომ გვიხდოდა გაგვიგო სამკითხველს რა ჭქონდა და რა არა, რათა ახლის დაარსებაზე გვეზრუნათ, ეს მტკნარი სიცრუეა. ამა ეტ თუ უნდოდა რატომ იქვე არ ჩაურთო მიზანი ანგარიშის თხოვისა? მით საქმე ხომ ადრე გათავდებოდა? ან არა და ბ. კ.

თ—ძეს საზოგადო ქონების მისაკუთრება როგორ შეუძლია? ადბათ ანგარიშის დაგვიანება რამე საუკრძალოდ მიზეზისა გამო იქნება.

უკანასკნელთ გირჩევთ, ბ. ოდიშელ, მოიკრიბოთ ძალა და ადიროთ, რომ თქვენ არც სიმართლისა და არც დაბისადმი სიყვარული არ გალანარაკებთ. თუ იკითხვთ, მამ რა? პასუხს თქვენი შინაგანი მსაჯულისაგან მიიღებთ. მე კ. თ—ძეს პირდაპირ სრულებით ვერ ვიცი, მხოლოთ მისი ამბავი მისი ნამოქმედარისაგან ვიცი—ესეც არდევს თქვენ ცილის წამებას. თქვენ თუ სამეგრელოს ვითარება კარგათ იცით, ადვილათ დამეთანხმებით, რომ დედაენის განვითარებას სამეგრელოში ბ. კ. თ-ძისგან იაფ ფასათ გამოცემულ სახალხო-წიგნებიც ძლიერ ხელს უწყობს (მარტო „ვეფხისტყაოსანი“ მოვიხსენიებთ, რომელიც 35 კ. იყიდებოდა).

მე დაწმუნებული ვარ, რომ თუ კი ვინმე ახალ-სენაკში სამკითხველს დაარსებას იკისრებს. ბ. კ. თ—ძე არამც თუ ანგარიშს, რომელსაც თქვენ თხოვლობთ (ამაზე ხომ იგი ვაღიგებოდა სინიდიისით?) რიგანათ ჩაგანარებსო, არამედ ამ საქველ-მოქმედო საქმეს თავის ჯობიდანაც დაუმტებს. ამას ნათლათ მოწმობენ მის მიერ შემოწირულებანი გურიის ზოგიერთ სოფლების სამკითხველს სასარგებლოთ, როგორც ფულოთ, ისე წიგნებით. ეს თქვენც, ბ. ოდიშელ, კარგათ გეცოდინებათ.

ისილორე შიოსძე.

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილება (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით, და სამი განყოფილება რუსული. სკოლა იმეფება ლერმონტოვის და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიერებიან, იმ კუთხეში. სახლი საკარდა — მსიერბსკისა № 19 (3—2)

„კვალის“ და „ჯიჯილის“ რედაქციის

იყილება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაცხ. 50 კ.)	
აბოლომი „ბუნება სურათები“ ედ. 1 მ. 20 კ. (გასაცხ. 20 კ.)	
პატარა ღორდი	30 კ.
ჩვენი ძველი გმირები	30 კ.
თეთრი და ზანგი	15 კ.
სოლომონ მეფე	10 კ.
ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა	10 კ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.